ნინო გოგიბერიძის მოგონება ყაზახეთში გადასახლების პერიოდზე

გადასახლების მომენტები ბუნდოვნად მახსოვს,უმეტესად დედის მოგონებებიდან აღვიდგინე,რომ გადასახლების დღეს პირუტყვის გადასაყვანი ვაგონებით წაგვიყვანეს ქუთაისიდან ყაზახეთში.გზაში 14 დღე ვიმყოფებოდით.არ იყო საკვები პროდუქტები,წყალი,არ გვყავდა ექიმი,არ გაგვაჩნდა მედიკამენტები,ელემენტარულად არ იყო საპირფარეშო და მატარებელსაც შეგნებულად არ აჩერებდნენ სადგურებზე.სპეციალურად იყო შექმნილი პირობები,რომ ხალხის უმეტესობას ვერ ჩაეღწია ყაზახეთამდე.ამის გამო მამაჩემმა გზაში მოითხოვა მანდილოსნებისათვის პირობების შექმნა,რომ ფარდა მაინც ჩამოეფარებინათ ვაგონის იმ კუთხეში,სადაც ე.წ. „საპირფარეშო ორმო“ იყო ამოჭრილი.როდესაც ცინიკურად უპასუხეს ,მან გალახა ე.წ. „ეტაპის ნადზირატელი-გამცილებელი“ და რომ არა ის ფაქტი რომ ის იყო გამომგონებელი,იმ პერიოდის უნიჭიერესი ენერგეტიკოსი,ომის გმირი(ფაშისტებთან ბრძოლაში გადაარჩინა გენერალი სიკვდილს,ასევე მოაწყო გაქცევა საკონცენტრაციო ბანაკიდან,რის დროსაც ბრძოლაში დახოცა გერმანელი ოფიცრები) და ასევე ხალხი აღელდა და გადაეფარა,იქვე უპირებდნენ დახვრეტას.

როდესაც ჩავედით ყაზახეთში.გადასახლებულთა უმრავლესობამ ვერ გაუძლო კლიმატურ ცვლილებებს და მასობრივად დაიხოცა.ქვეწარმავალთა და მღრღნელების სიმრავლის გამო,ჩემი ტყუპი დაძმის აკვნები და ჩემი საწოლი კალათა ჩამოკიდებული იყო ჭერზე დამაგრებულ ბაგირებზე.ჩვენი გადარჩენის მთავარი ფაქტორი იყო მამაჩემის პროფესია,ის დაასაქმეს ელექტროსადგურში და ასე თუ ისე პირობები შეუქმნეს,რომ მცირეწლოვანი ბავშვები სიკვდილს გადაერჩინა.ასევე აღსანიშნავია,რომ მამაჩემის გაგზავნილი საჩივარი მოხვდა სტალინთან და მისი რეზოლუციით პირადად მარშალ ვოროშილოვს დაევალა მამაჩემის საქმის გარკვევა,თუმცა ვინაიდან ჩვენი ოჯახი თავიდანვე იდეურად კომუნისტების მოწინააღმდეგე იყო,ჯერ კიდევ ბაბუაჩემი ერასტი ხვედელიძე გააკულაკეს საქართველოს ანექსიის შემდეგ უმოკლეს ხანში.ასე რომ თუმცა მამაჩემი საბრძოლო დამსახურებების გამო და ასევე მოძრავი ელექტროსადგურის ინოვაციური პროტოტიპ-მოდელის გამო პირადად სტალინის ბრძანებით გაამართლეს,მაგრამ ეს ბრძანება მთელი 6 თვე ბაბუაზე განაწყენებულ „ჩეკას აგენტებს“ დამალული ქონდათ და ამგვარად ტყვეობის ნახევარი წელი დაგვემატა ამ გადასახლების პერიოდის გარდა.

როდესაც დავბრუნდით საქართველოში,მწვანე ბალახის დანახვამ გაგვაოცა ბავშვები,მთელი ეს წლები წყალი ნატვრად გვქონდა ქცეული,ხოლო ხეები და სიმწვანე არც კი გვქონდა ნანახი.მოსაყოლად ეს ფაქტები შეიძლება ადვილი იყოს,მაგრამ ამას თან დაემატა ის დევნა რაც გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგაც მუდმივად სდევდა ჩვენს ოჯახს 1961 წლამდე.

SOVLAB

როდესაც გადაგვასახლეს,ასაკით იმდენად პატარები ვიყავით,რომ გადასახლების ადგილამდე ტრანსპორტირების 14 დღიანი ტანჯვის დეტალები არ გვახსოვდა,უბრალოდ დედამ მოგვიყვა შემდეგ,რომ გზაში შექმნილი იყო ყველა პირობა იმისათვის,რომ რეპრესირებულთა უმრავლესობას ცოცხლებს ვერ ჩაეღწიათ ყაზახეთამდე.არ იყო პროდუქტები,სასმელი წყალი,მედიკამენტები.მოგვათავსეს პირუტყვის გადამზიდ ვაგონებში,საპირფარეშო არ იყო,მის მოვალეობას იატაკზე ამოჭრილი დიდი ორმო ასრულებდა.როდესაც მამაჩემმა კალისტრატე ხვედელიძემ მოითხოვა ქალების ხათრით მაინც ფარდა მაინც ჩამოეფარებინათ ამ კუთხისათვის ე.წ. „ნკვდ-ეს“ ბადრაგმა დასცინა,მამაჩემმა არ მოუთმინა და გალახა და თავში ჩაარტყა ბავშვის ღამის ქოთანი,რის გამოც მოინდომეს მისი ადგილზე დახვრეტა,თუმცა ხალხმა ატეხა ყვირილი და მატარებლის უფროსმა სიტუაციაში გარკვევის შემდეგ,როდესაც გაიგი რომ მამაჩემი იყო ომის გმირი,სამხედრო გამომგონებელი ენერგეტიკის სფეროში მამაჩემი დაიცვა და ხალხის მოთხოვნა შეასრულა და ეს სამარცხვინო კუთხე ფარდით დამალეს ყველა ვაგონში.

ადგილზე ჩასვლის შემდეგ დაგვხვდა საშინელი პირობები,ქვეწარმავლების სიმრავლის გამო მცირეწლოვანი ბავშვების აკვნები ან კალათები თოკებით ჩამოკიდებული იყო ჭერზე,რომ ბავშვები არ დაეკბინა ქვეწარმავლებს.იყო წყლის,საკვების პრობლემა.მამაჩემმა გამოიგონა დღევანდელი დიზელ-გენერატორის ე.წ. „დვიჟოკი“ განსხვავებული მოდელი,რის შემდეგ შედარებით უკეთესად გვეპყრობოდნენ.მამამ წერილით მიმართა სტალინს.მისი საქმე ხელახლა განიხილეს და მარშალ ვოროშილოვის ბრძანებით მამა გაათავისუფლეს,მაგრამ „ნკვდ-ეს“ ადგილობრივი ხელმძღვანელი იმ მოტივით,რომ მამას შემცვლელი კადრი არ ყავდა 6 თვე არ გვაძლევდა საქართველოში დაბრუნების ნებას.ამის შემდეგ მამაჩემმა კვლავ მიმართა საჩივრით სტალინს და ვოროშილოვს,მხოლოდ ამის შემდეგ დაგვაბრუნეს საქართველოში.

ამრიგად გადასახლების ვადის გარდა მთელი ნახევარი წელი უკანონოდ ვიმყოფებოდით რეპრესირებულთა დასახლებაში.როდესაც დავბრუნდით საქართველოში ბალახი და ხე,მდინარე,ზღვა საერთოდ არ გვქონდა წარმოდგენილი მე და ჩემს დას მარიამ ხვედელიძეს და ძმას ერასტი ხვედელიძეს.

საქართველოში დაბრუნების შემდეგ ჩვენი ოჯახის დევნა წლების განმავლობაში გრძელდებოდა,ვინაიდან ჩვენი ოჯახები და გვარები , როგორც მამის ასევე დედის მხრიდან კომუნისტების(ბოლშევიკების) მოწინააღმდეგეები იყვნენ ჯერ კიდევ საქართველოს 1921 წლის ანექსიამდე.სწორედ ამიტომ 1961 წლამდე ელემენტარულად ხის სახლის აშენების ნებაც კი არ მოგვცეს და ქალაქის ტერიტორიაზე ცხოვრების უფლებას არ გვაძლევდნენ.მოინდომეს სოფელის წინაპრებისეული სახლის წართმევა და დაბეგვრითაც განსაკუთრებულად კაბალური წესით გვბეგრავდნენ როგორც სოფლის კომლს.

შევარდნაძის პერიოდში მამაჩემი და ჩემი ძმა გარდაცვლილები იყვნენ და მათი რეპრესირებულად ცნობა მოხდა საერთო წესით,თუმცა პენსიას ვიღებდით მხოლოდ მე,დედაჩემი მარგალიტა ხვედელიძე და ჩემი და მარიამ ხვედელიძე.

SOVLAB

გთხოვთ განიხილოთ ჩვენი საკითხი,დარწმუნებული ვარ კანონის უზენაესობის გათვალისწინებით ,დღევანდელი კანონმდებლობის შესაბამისად ჩვენი ოჯახის ხუთივე რეპრესირებული წევრი,მათ შორის გარდაცვლილები მიიღებს საჭირო დოკუმენტაციას და კომპენსაციას.
წინასწარ გიხდით უღრმეს მადლობას.

ნინა გოგიბერიძე
მარიამ ხვედელიძე
ბაკური ხვედელიძე
1,07.2011

SOVLAB